საქართველოს მთავრობის

დადგენილება №116

2019 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/06/2014, 010340000.10.003.018030) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის 6^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 მუხლი:

„მუხლი 6^2. სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში სტაჟირების გავლის სპეციალური წესი

1. სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში (შემდგომში – ინსტიტუტი) სტაჟიორად პირი მიიღება, როგორც ამ პროგრამით დადგენილი წესის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინსტიტუტი სტაჟირების კონკურსს აცხადებს ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – HR.gov.ge-ზე.

3. ინსტიტუტი ვალდებულია, წელიწადში ორჯერ ბიუროს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტაჟირებასთან დაკავშირებით, სტაჟირების თითოეული ნაკადის დასრულებისთანავე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**